№1760 2015 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ

1. „შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ მიერ სამთო-სათხილამურო კურორტების კეთილმოწყობასა და განვითარებასთან დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №1436 განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გამოუყოს 22 741 735 (ოცდაორი მილიონ შვიდას ორმოცდაერთი ათას შვიდას ოცდათხუთმეტი) ლარი შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ კაპიტალის გაზრდის მიზნით.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის გამოყოფა განახორციელოს ეტაპობრივად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარდგენილი წინადადებების შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**